დავით ქანთარია*

კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა და პერსონალური მონაცემების დაცვა

კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა პრობლემური საკითხია და მას არსებითი მნიშვნელობა აქვს კანონით განსაზღვრული ლეგიტიმური მიზნების მისაღწევად. სახელმწიფოს აკისრია მთელი რიგი ვალდებულებები, რომელთა საფუძველზე დგინდება არასრულწლოვანთა უფლებების დაცვის ადეკვატური გარანტიები.

განსაკუთრებით საინტერესოა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსისა და „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნები აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით. მათ შორის, კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის სტიგმატიზებისგან დაცვა და მისი უმტკივნეულო რეინტეგრაცია საზოგადოებაში. იგი მოიცავს კომპლექსურ ღონისძიებებს, რომლებიც პრაქტიკაში უნდა რეალიზდეს.

საკვანძო სიტყვები: *კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვანი, ეტიკეტირება, პერსონალური მონაცემები, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა, რესოციალიზაცია, პროფესიული ეთიკა.*

1. შესავალი

არასრულწლოვნის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა სისხლის სამართლის პროცესის ნებისმიერ ეტაპზე უნდა იყოს დაცული და გარანტირებული. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში გაცხადებულია ერთ-ერთი მთავარი იდეა, რომ უნდა მოხდეს არასრულწლოვნის რესოციალიზაცია და მისი თავისუფალი ინტეგრაცია საზოგადოებაში. ამის მიღწევა კი მარტივი როდია. როცა საქმე ეხება არასრულწლოვანს, რომელიც სჩადის დანაშაულს, მათ შორის, მძიმე კატეგორიის დანაშაულს, საზოგადოების ნაწილი ვერ ხედავს, რომ რეალურად საქმე ეხება ბავშვს და მომეტებულ სიმკაცრეს იჩენს, რაც დემოკრატიულ საზოგადოებაში

* ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დოქტორანტი, პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის უფროსის აპარატის სამართლებრივი საკითხების სპეციალისტი.

მიზანშეწონილი არაა. ასევე, მეტად მნიშვნელოვანია დანაშაულის მსხვერპლი არასრულწლოვანის დაცვა მეორეული ვიქტიმიზაციისაგან.

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება, ამ მხრივ, მეტად საინტერესო რამაა. მისი პრაქტიკაში რეალიზება სიფრთხილეს მოითხოვს, რადგან ძალიან რთულია განსაზღვრო, რა იქნება პროპორციული ღონისძიება არასრულწლოვანთან მიმართებით.

კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის საქმის განხილვა მთელი რიგი თავისებურებებით გამოირჩევა და ერთგვარ კოლიზიაშია საქმის საჯაროდ განხილვის უფლებასთან, ასევე, გამოხატვისა და ინფორმაციის მიღების უფლებებთან.

პირადი ცხოვრების უფლება საკმაოდ ფართო კონცეფციაა და მისი ასპექტების *Numerus Clausus* პრინციპით ამოწურვა შეუძლებელია. წინამდებარე ნაშრომი მიზნად ისახავს, წარმოაჩინოს არასრულწლოვნის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის პრობლემური სამართლებრივი საკითხები არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში და შეაფასოს „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის დადებითი ეფექტი.

2. კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვა

საქართველოს კონსტიტუცია აღიარებს და უზრუნველყოფს ადამიანის უფლებებს. აღნიშნულ უფლებებს შორის მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს პირადი ცხოვრების უფლებას. პირადი ცხოვრება არ არის მხოლოდ ადამიანის შინაგანი სამყარო, არამედ იგი ასევე მოიცავს პირის შესაძლებლობას, ჰქონდეს გარე სამყაროსთან ურთიერთობა. პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა არის ძალიან მნიშვნელოვანი ქვეყნისთვის, საზოგადოების ჯანსაღი განვითარებისა და არსებობისთვის[1]. შესაბამისად, მისი გამოყენება ანგარებით ან პოლიტიკური მიზნებისთვის ყოვლად დაუშვებელია. პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვის უფლება ის ფასეულობაა, რომელიც ყოველდღიურ ცხოვრებაში აისახება და იგი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი უფლებაა დემოკრატიულ საზოგადოებაში. ტექნოლოგიური განვითარების პირობებში, როდესაც პროგრესს სისტემატურად განიცდის ჩვენი გარე სამყარო, აღნიშნული უფლება ახალ შინაარსს იძენს.

საქართველოს კონსტიტუციის მე-15 მუხლი იცავს ადამიანის პირადი და ოჯახური ცხოვრების, პირადი სივრცისა და კომუნიკაციის ხელშეუხებლობის უფლებას, რომელიც, თავისი არსით, ბუნებრივია, სცდება კონსტიტუციის ერთი კონკრეტული მუხლის ფარგლებს. სწორედ, აღნიშნულიდან გამომდინარე, მიიჩნევს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, რომ პირადი ცხოვრების უფლების ფუნდამენტური მნიშვნელობა მის მრავლისმომცველობასთანაა დაკავშირებული იგი მოიცავს, ფიზიკური და მორალური ხელშეუხებლობის, პირადი მონაცემების, ოჯახური და სქესობრივი ცხოვრების საიდუმლოების, სახელის, მიმოწერისა და სატელეფონო საუბრების საიდუმლოს ხელშეუხებლობის უფლებას, და ასევე, რასობრივ ან ეთნიკურ

[1] *ივანიძე მ.*, არასრულწლოვანი და მისი საუკეთესო ინტერესები, არასრულწლოვანთა კანომდებლობის ანალიზი და სასამართლო პრაქტიკა, თბ., 2017, 545.

კუთვნილებასთან, ნასამართლობასა და განრიდებასთან, ბიომეტრიულ თუ გენეტიკურ ინფორმაციასთან დაკავშირებულ საკითხებს, თუმცა, მისი ყველა ასპექტის წინსწრებად ჩამოთვლა შეუძლებელია.[2]

პირადი ცხოვრების უფლების დაცვა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია არასრულწლოვნებთან მიმართებით. ბავშვებთან ურთიერთობა განსაკუთრებულ მიდგომას საჭიროებს ნებისმიერ სივრცეში, მით უმეტეს მართლმსაჯულების კუთხით და მისი საკანონმდებლო მოწესრიგებაც სწორედ აღნიშნული ფაქტორების სრულფასოვანი გააზრებით უნდა განხორციელდეს. არასრულწლოვნის უფლების დაცვის სფერომ ბოლო წლებში დიდი ტრანსფორმაცია განიცადა. ადრე თუ არასრულწლოვანი არ განიხილებოდა დამოუკიდებელი უფლებების მატარებლად, გასული საუკუნის 20-იან წლებში მიღებულმა „ჟენევის დეკლარაციამ" ვითარება არსებითად შეცვალა. შემდგომ წლებში კი აღნიშნული სფერო კიდევ უფრო მეტად დაიხვეწა. შესაბამისად, საინტერესოა, რა გზა განვლო და როგორ უზრუნველყოფს კანონმდებლობა არასრულწლოვნის პირადი ცხოვრების დაცვას ამ ეტაპზე.

ბავშვის უფლებები, მათ შორის პირადი ცხოვრების უფლება, მარტივად შეიძლება დაირღვეს. ამიტომ საზოგადოებას აკისრია უდიდესი პასუხისმგებლობა – დაიცვას ბავშვთა ინტერესები და ხელი შეუწყოს მათი უფლებების დაცვას.

პირველი ნაბიჯი, რომელიც გადაიდგა ბავშვის უფლებების დასაცავად იყო ჟენევის დეკლარაცია, რომლითაც შესაძლებელი გახდა ბავშვთა უფლებების აღიარება და რომელიც ორიენტირებული იყო რამდენიმე მნიშვნელოვან ასპექტზე. კერძოდ, ბავშვის განვითარების, მისი შემწეობისა და დაცვის, ასევე ბავშვის კეთილდღეობასთან დაკავშირებულ საკითხებთან[3]. აღნიშნული დეკლარაცია გახდა საფუძველი 1959 წელს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ ბავშვთა დეკლარაციის მიღებისა, რომლითაც განისაზღვრა „ბავშვის საუკეთესო ინტერესების" სტანდარტი. 1985 წელს კი მიიღეს ე.წ. „პეკინის წესები", რომელიც არასრულწლოვანთა სისხლის სამართლის ადმინისტრირების შესახებ მნიშვნელოვან საკითხებს მოიცავდა. მისი დახმარებით შესაძლებელი გახდა არასრულწლოვანთა სტიგმატიზაციის თავიდან აცილება, ვინაიდან აიკრძალა მასობრივი ინფორმაციის საშუალებებითა და საჯარო დაწესებულებების მიერ არასრულწლოვანთა მაიდენტიფიცირებელი ინფორმაციის გამჟღავნება. 1989 წელს მიიღეს „ბავშვის უფლებათა კონვენცია", რომლის რატიფიცირებაც მსოფლიოს 195 ქვეყანაში განხორციელდა. გაერომ ბავშვის უფლებათა კონვენციის არაერთი დამხმარე ინსტრუმენტი მიიღო, რომლის მიზანიც უფრო მოსახერხებელი სტანდარტის შექმნა და აღნიშნულ სისტემაში მონაწილე პროფესიონალებისათვის სახელმძღვანელო პრინციპების მიწოდება იყო.[4]

ასევე მნიშვნელოვანია „ჰავანას წესები", რომელიც 1990 წელს იქნა მიღებული. აღნიშნული დოკუმენტი ითვალისწინებს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების არსებით პერსპექტივებს, კერძოდ, სისტემა უნდა მოიცავდეს არასრულწლოვანთა ფიზიკური და გონებრივი მდგომარეობის წამახალისებელ უფლებებსა და გარანტიებს. კანონის დარღვევაში ბრალდებულ და მსჯავრდებულ

---

[2] *გოგნიაშვილი ნ.,* პირადი ცხოვრების დაცვის მნიშვნელობა და მისი სპეციფიკა არასრულწლოვანთან მიმართებაში, ქართულ გერმანული სამართლის ჟურნალი, 2023, 3.

[3] *იმერლიშვილი ი.,* არასრულწლოვნის უფლებები: საერთაშორისო გამოცდილება და საქართველოში არსებული მდგომარეობა, კრებულში: ადამიანის უფლებათა დაცვა, კონსტიტუციური რეფორმა და სამართლის უზენაესობა საქართველოში, თბ., 2017.

[4] *გოგნიაშვილი ნ.,* პირადი ცხოვრების დაცვის მნიშვნელობა და მისი სპეციფიკა არასრულწლოვანთან მიმართებაში, ქართულ გერმანული სამართლის ჟურნალი, 2023, 3.

არასრულწლოვნებთან მოპყრობა უნდა განსხვავდებოდეს იმავე მდგომარეობაში მყოფ ზრდასულებთან მოპყრობისგან, ამ ყველაფერს აქვს შემდეგი საფუძვლები: – მიიჩნევა, რომ ბავშვი ნაკლებად აგებს პასუხს თავის ქმედებებზე, მისი პასუხისმგებლობა იზრდება ასაკის მატებასთან ერთად – ზრდასრულებთან შედარებით ბავშვები, რომლებიც დანაშაულს სჩადიან უფრო ადვილად ექვემდებარებიან გამოსწორებას და სწავლობენ ქცევის სხვაგვარ წესებს – ბავშვები და ახალგაზრდები, რომლებიც მოთავსებულნი არიან წინასწარი პატიმრობის საკნებსა და ციხეებში, დაუცველნი არიან ძალადობისა და არასათანადო მოპყრობისაგან და ნაკლებად შეუძლიათ თავის დაცვა. ასევე, გაეროს სახელმძღვანელო პრინციპები არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილ დანაშაულთან დაკავშირებით – „რიადის სახელმძღვანელო პრინციპები", რომელიც დანაშაულის პრევენციის კუთხით ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი დოკუმენტი იყო, სადაც ძირითადი აქცენტი, კანონიერ, სოციალურად სასარგებლო საქმიანობაში ჩაბმასა და საზოგადოების მიმართ ჰუმანური დამოკიდებულების შექმნაზე იყო გაკეთებული.[5]

საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით, ბავშვებს, ზრდასრული ადამიანებისგან განსხვავებით, აქვთ პირადი ცხოვრების სრული პატივისცემის უფლება საქმის განხილვის ყველა სტადიაზე. ბავშვის უფლებათა კომიტეტმა მე-10 ზოგად კომენტარში დაადგინა, რომ „საქმის განხილვის ყველა სტადია" იწყება სამართალდამცავ ორგანოებთან პირველი კონტაქტიდან (მაგ. ინფორმაციისა და იდენტიფიცირების მოთხოვნა) ზედამხედველობიდან ან პატიმრობიდან განთავისუფლებამდე.[6]

პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლების მიზანია იმ ზიანის თავიდან აცილება, რომელიც შეიძლება მიადგეს ბავშვს საქმის გაუმართლებელი საჯაროობით. უარყოფითმა გასაჯაროებამ შეიძლება მოახდინოს ბავშვის სტიგმატიზაცია და უარყოფითად აისახება ბავშვის შესაძლებლობაზე, მიიღოს განათლება, მოიძიოს სამუშაო და საცხოვრებელი ადგილი, ასევე ზოგადად მის რეინტეგრაციაზე[7]. ბავშვის უფლებათა კომიტეტმა კანონთან კონფლიქტში მყოფი ბავშვების პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების ფართო გაგებით განმარტა. სახელმწიფოებმა მკაფიოდ უნდა განსაზღვრონ კანონმდებლობაში, რომ როდესაც მიმდინარეობს ბავშვის გასამართლება დანაშაულის ჩადენის გამო, განხილვა უნდა გაიმართოს დახურულ კარს მიღმა[8].

გასაჯაროების აკრძალვის პრინციპი და მიზანი ნათლად არის მოცემული უგანდის ბავშვთა აქტის (1996) 102-ე მუხლში - „პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლების დაცვა და გამოქვეყნების შეზღუდვა". ბავშვის პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლება დაცული უნდა იყოს სასამართლო პროცესის მანძილზე, რათა თავიდან ავიცილოთ მისთვის ზედმეტი საჯაროობით ზიანის მიყენება და ოჯახური და საბავშვო სასამართლოს წინაშე წარმდგარ ბავშვთან დაკავშირებით არავინ უნდა გამოაქვეყნოს რაიმე ინფორმაცია, რომელსაც შეუძლია გამოიწვიოს ბავშვის

---

[5] *ერემაძე ქ.,* ძირითადი უფლებები თავისუფლებისთვის, წიგნი მეორე, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2021, 201.

[6] ბავშვის უფლებათა კომიტეტი, ზოგადი კომენტარი N10 (2007); პუნქტი 64.

[7] პეკინის წესების მე-8 წესი. იხ., აგრეთვე, ბავშვის უფლებათა კომტეტის ზოგადი კომენტარი N10 (2007); პუნქტი 64.

[8] *ჰამილტონი ქ.,* არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საკანონმდებლო რეფორმის სახელმძღვანელო მითითებები, 2011, 88.

იდენტიფიცირება. გარდა ამისა, ნებისმიერ პირს, რომელიც არღვევს ამ უფლების დაცვისა და შეზღუდვის წესს, შეიძლება დაეკისროს ჯარიმა და დაისაჯოს.[9]

ეროვნულ კანონმდებლობაში კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის მონაცემთა დაცვის საკანონმდებლო ბაზა ჯერ კიდევ შექმნისა და დახვეწის პროცესშია. საქართველოს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მე-13 მუხლის მე-2 ნაწილი, რომელიც ბლანკეტური ხასიათისაა და გვამისამართებს ,,პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" კანონზე, ამასთან, კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის პერსონალური მონაცემების დამუშავების საკითხები დამატებით გაბნეულია არაერთ კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტში, კერძოდ, თითოეული საჯარო დაწესებულება დაწყებული საგამოძიებო ორგანოებიდან დამთავრებული სასჯელაღსრულებითი დაწესებულებით განსაზღვრავენ კონკრეტულ შემთხვევებში რა მონაცემები მუშავდება, რა ვადით ინახება, განადგურების წესი და ა. შ. მოცემული რეგულაციები არ წარმოადგენს არასრულწლოვნის პერსონალური მონაცემებისა და პირადი ცხოვრების უფლების დაცვის სათანადო გარანტს, ვინაიდან ხშირად არასრულყოფილია ამ საკითხის მომწესრიგებელი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები[10].

საერთაშორისო სტანდარტების თანახმად, მნიშვნელოვანია კანონმდებლობაში ასახული იყოს ,,სპეციალური მოთხოვნები", რათა ბავშვის საჭიროებები სათანადოდ იქნეს დაკმაყოფილებული. ასეთ ,,სპეციალურ მოთხოვნად" მოიაზრება არასრულწლოვნის პირადი ცხოვრების უფლების პატივისცემა საქმის განხილვის ყველა სტადიაზე; კანონმდებლობა მკაცრად უნდა კრძალავდეს სხდომაზე დამსწრე პირთა მიერ კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის ვინაობის გამჟღავნებას. ამ თვალსაზრისით, აუცილებელია სათანადო მყარი სამართლებრივი გარანტია არსებობდეს არასრულწლოვნის პირადი ცხოვრების უფლების დასაცავად; კვლევამ ცხადყო, რომ უშუალოდ ბავშვის უფლებების მარეგულირებელი ეროვნული საკანონმდებლო ჩარჩო, არ შეიცავს მკაფიო ჩანაწერს, რომელიც აუკრძალავს მედიის წარმომადგენლებს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემაში მოხვედრილ ბავშვთა ვინაობის გამჟღავნებას. ,,ბავშვის უფლებათა კოდექსი შეიცავს სპეციალურ მუხლს, რომელიც არეგულირებს მედიის მიერ არასრულწლოვნის პერსონალური მონაცემების დაცვის საკითხს. თუმცა ამ ნორმის მოქმედება არ ვრცელდება სისხლის სამართლის დანაშაულისა და ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეთა წარმოებაზე და კოდექსი მიუთითებს, რომ ეს საკითხი წესრიგდება არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსით[11]. თუმცა, ამკ არ შეიცავს რაიმე სპეციალურ დებულებებს მედიის მიერ არასრულწლოვნის პერსონალური მონაცემების დაცვის საკითხთან დაკავშირებით; აღნიშნული პრობლემის გადაჭრის მიზნით, მიზანშეწონილია, პირველ რიგში, ჟურნალისტების მიერ პროფესიული ეთიკის დარღვევის ფაქტებზე რეაგირების მექანიზმი თვითრეგულირების ფარგლებში გაძლიერდეს, რათა დარღვევის ფაქტებზე დისციპლინური პასუხისმგებლობის

[9] იხ. უგანდის ბავშვთა აქტი, 1996, ნაწ. 102.

[10] *ქვრივიშვილი თ.,* კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის პირადი ცხოვრების უფლების დაცვის გარანტიები არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში, სადისერტაციო ნაშრომი (თსუ), 2022, 47.

[11] *შეყილაძე ხ.,* კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების (სისხლის სამართლის საქმის წარმოების) პროცესში, თბ., 2019

დონეზე მოხდეს ქმედითი რეაგირება. ამასთან, ვინაიდან ბავშვის უფლებათა დაცვის სფეროში მოქმედი ინსტრუმენტები უფრო მკაცრი ზომების მიღებას მოითხოვენ იმ ჟურნალისტებთან მიმართებით, რომლებიც უხეშად არღვევენ არასრულწლოვნის პირადი ცხოვრების უფლებას, საჭიროა შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის არსებობა. აღსანიშნავია, რომ ხორვატიამ არასრულწლოვანთა პირადი ცხოვრების უფლების დაცვის მიზნით სპეციალური მუხლიც კი შემოიღო სისხლის სამართლის კოდექსში, რომელიც ითვალისწინებს სისხლის სამართლის წესით იმ პირთა დასჯადობას, რომლებიც ხელყოფენ ბავშვის პირადი ცხოვრების უფლებას მისი ფოტოების ან სხვა მაიდენტიფიცირებელი გარემოებების გამჟღავნებით, თუ ამან გამოიწვია ბავშვის მღელვარება, თანატოლებისგან ან სხვა პირებისგან დაცინვა ან სხვა მხრივ საფრთხე შეექმნა ბავშვის კეთილდღეობას. ამასთან, იგივე ქმედების ჩადენა საჯარო მოხელის ან მედიის წარმომადგენლის მიერ, წარმოადგენს დამამძიმებელ გარემოებას.

3. არასრულწლოვნის დაცვა ეტიკეტირებისგან

ეტიკეტირების ფენომენი საკმაოდ გავრცელებულია. მის ნიმუშს წარმოადგენს რობერტ როზენტალის გამოკვლევა. მისი ვარაუდით, ღარიბი და ფერადკანიანი მოსწავლეები სკოლაში კარგად ვერ სწავლობენ იმიტომ, რომ მასწავლებლები მათგან წარმატებას არ ელიან და შესაბამისად, მათ როგორც უნიჭოებს ეპყრობიან. ეს კი ბადებს სწორედ იმ ქცევას, რომლის მოლოდინიც ჰქონდათ მასწავლებლებს[12].

ეტიკეტირების თეორია ამტკიცებს, რომ დევიაციური ქცევის სუბიექტად ანუ დევიანტად უნდა ჩაითვალოს ის, ვისაც საზოგადოება ასეთად მიიჩნევს. ამ თვალთახედვით, დევიაცია განისაზღვრება არა სპეციფიკური აქტებით, არამედ ადამიანზე რეაქციებით. ეტიკეტირების თეორიის თანახმად, დამნაშავედ გახდომის შემდეგი ეტაპები არსებობს: 1) პირველად ჩადენილი დანაშაული; 2) საზოგადოებაში დამნაშავის ინტეგრირების პრობლემა; 3) დამნაშავის მიერ მისი სტატუსის აღიარება; 4) კრიმინალის ჩამოყალიბება; 5) განმეორებითი დანაშაულის ჩადენა.

ეტიკეტირების თეორიის თანახმად, დევიანტური ქცევა შეიძლება სხვადასხვა მიზეზებიდან და პირობებიდან გამომდინარეობდეს, მაგრამ მას შემდეგ რაც პირს დევიანტის ,,იარლიყს მიაკრავენ“, ისინი ხშირად აწყდებიან ახალ პრობლემებს, რომლებიც გამომდინარეობს საკუთარი თავისა და სხვების რეაქციიდან უარყოფით სტერეოტიპებზე.[13] ეტიკეტირების თეორია ძირითადად შეისწავლის ადამიანის დევიანტად ეტიკეტირების შედეგებს: 1. ადამიანის დევიანტად ეტიკეტირებით იზრდება იმის ალბათობა, რომ ეს ადამიანი შემდგომშიც გააგრძელებს დევიაციურ ქცევას. ჯერ ერთი, ადამიანის ეტიკეტირება დევიანტად ზრდის ბარიერს მასსა და დანარჩენ საზოგადოებას შორის; მეორე, დევიანტის ეტიკეტი უკვე „კვალიფიკაციაა“, რომელიც ამ ინდივიდის შეფასებაში გადამწყვეტ როლს ასრულებს. საზოგადოებისთვის ეს ადამიანი ხდება დევიანტი საერთოდ, და არა კონკრეტულ საკითხში ან სფეროში. მისგან ყველაფერში დევიაციას მოელიან და შესაბამისად ეპყრობიან. მაგ: ადამიანს, რომელსაც ერთხელ დაერქვა „ქურდი“, აღარ ენდობიან.

[12] *Rosenthal, L. Jacobson*, Pygmalion im Unterricht. Lehrererwartungen und Intelligenzentwicklung der Schüler. Beltz 1983. S.129

[13] *ქვრივიშვილი თ.,* კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის პირადი ცხოვრების უფლების დაცვის გარანტიები არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში, სადისერტაციო ნაშრომი (თსუ), 2022, 56.

სასჯელის მოხდის შემდეგ მას მეგობრები არა მხოლოდ იმიტომ გაურბიან, რომ არ უნდათ სახელგატეხილ ადამიანთან მეგობრობა, არამედ იმიტომაც, რომ „ქურდმა“ მათაც შეიძლება რაიმე მოპაროს. 2. ეტიკეტირებული პირის მიმართ ამგვარი მიდგომა ამცირებს მის შანსებს ჩვეულებრივად იცხოვროს და იგი ცხოვრების დევიაციურ სტილს ანუ დევიაციურ კარიერას ირჩევს. ეტიკეტირებული პირები მხოლოდ მათსავით უარყოფითად ეტიკეტირებულ ადამიანებს სცნობენ თავისიანად, მჭიდრო კავშირებს აყალიბებენ და ერთმანეთს სოლიდარობას უცხადებენ.[14]

ეტიკეტირების თეორიის თანახმად, მეორეულ დევიაციას იწვევს, აგრეთვე ე. წ. „თვითქმნადი წინასწარმეტყველება“ ანუ განსაკუთრებული ფენომენი, როდესაც ნავარაუდევი მოვლენა წარმოშობს საკუთარ თავს ანუ თვითრეალიზდება. ამ შემთხვევაში, თუ რას ფიქრობენ ადამიანები კონკრეტული ინდივიდის სამომავლო დევიაციური ქცევის შესახებ სწორედ ამგვარ ქცევას წარმოშობს.

ეტიკეტირების თეორიის მიმოხილვის საფუძველზე, შეიძლება ითქვას, რომ არასრულწლოვნის დამნაშავედ სტიგმატიზება არსებითად ზემოქმედებს მის მომავალ ცხოვრებაზე.[15] თუ არასრულწლოვნის ნასამართლობის შესახებ ინფორმაცია კონფიდენციალური არ დარჩება, ამგვარ პირობებში პატიმრობაც კი ვერ მოახდენს ისეთ მძიმე ზეგავლენას არასრულწლოვანზე, როგორც არაფორმალური ეტიკეტირება. ამან, შესაძლოა, გამოიწვიოს მისი უარყოფა თანატოლების მხრიდან და არასრულწლოვნის დაახლოება დევიანტური თვითკონცეფციის მქონე პირებთან, რაც ზრდის არასრულწლოვნის მიერ განმეორებითი დანაშაულის ჩადენის რისკებს. სწორედ ამიტომ, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესში პირადი ცხოვრების უფლების დაცვას საქმის განხილვის ყველა სტადიაზე, რაც მას იცავს ვინაობის გამჟღავნებისა და სტიგმატიზებისგან, არსებითი მნიშვნელობა აქვს.

4. არასრულწლოვანთა საქმეების გაშუქება

გამოხატვის თავისუფლების უფლება ნებისმიერი პირისათვის გარანტირებული უფლებაა. იგი მოიცავს შეხედულების ქონის უფლებას, ინფორმაციის და იდეების მიღების და გავრცელების უფლებას საჯარო უწყებების ჩარევის გარეშე, თუმცა, სახელმწიფოებს გააჩნიათ უფლება, დააწესონ ლიცენზირების მოთხოვნა მაუწყებლების, ტელევიზიებისა ან კინო საწარმოებისათვის.[16]

ეს უფლება არის დემოკრატიული საზოგადოების არსებითი ელემენტი და ძირითადი პირობა მისი პროგრესისათვის და თითოეული პირის თვითრეალიზაციისათვის. გამოხატვის თავისუფლების საზღვრები უფრო ვრცელია, ვიდრე ინფორმაცია და იდეები, რომლებსაც დადებითად აღიქვამენ ან მიიჩნევენ არაშეურაცხმყოფელად ან ნეიტრალურად, და მოიცავს ინფორმაციას, რომელიც შეიძლება იყოს შეურაცხმყოფელი, შოკისმომგვრელი ან აღმაშფოთებელი.

მედიის წარმომადგენლები მიიჩნევიან საზოგადოებრივ მოდარაჯეებად, რომლებიც უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებენ დემოკრატიულ საზოგადოებაში. მათ აქვთ ვალდებულება, გაავრცელონ ინფორმაცია და საზოგადოებას გააცნონ

[14] *ახალაშვილი ნ.,* იურიდიული ფსიქოლოგია, თბ., 2009, 244.

[15] *შალიკაშვილი მ., მიქანაძე გ.,* არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება (სახელმძღვანელო), მეორე გამოცემა, თბილისი, ფრაიბურგი, სტრასბურგი, 2016, 48.

[16] *დანელია ნ.,* ბავშვთა საკითხების გაშუქება ქართულ სატელევიზიო სივრცეში, მედიის განვითარების ფონდი, თბ., 2011, 38.

ყველა საინტერესო საკითხი, რომლის მიღების უფლებაც საზოგადოებას გააჩნია.[17] ჟურნალისტის გამოხატვის თავისუფლება არ არის აბსოლუტური. ჟურნალისტებს გააჩნიათ უფლებები და პასუხისმგებლობები. ამ თვალსაზრისით, ტერმინი „უფლებები" განიმარტება, როგორც ჟურნალისტის პრეროგატივა, განახორციელოს საკუთარი პროფესიული მოვალეობები და გააშუქოს საზოგადოებისათვის საინტერესო საკითხები, ხოლო „პასუხისმგებლობები" ნიშნავს, რომ ჟურნალისტმა უნდა იმოქმედოს კეთილსინდისიერად და მიაწოდოს ზუსტი და სანდო ინფორმაცია, ჟურნალისტური ეთიკის შესაბამისად.[18]

ჟურნალისტი ვალდებულია, გამოქვეყნებამდე გადაამოწმოს ფაქტები. თუმცა, იგივე მოთხოვნა არ ვრცელდება ჟურნალისტების მიერ მოსაზრების გაშუქებისას ან თვალსაზრისის შესახებ ინფორმაციის გავრცელებისას.[19] ამის მიუხედავად, მოსაზრებებიც უნდა ემყარებოდეს რაიმე ფაქტობრივ საფუძველს. მედიის როლი და მისი გავლენა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაზე სამ ასპექტში ვლინდება: 1) მედიის გავლენა ბავშვებზე, მედიის გავლენა არასრულწლოვანთა კანონმდებლობის ფორმირებაზე და მედიის გავლენა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესზე.[20]

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ სასამართლო პროცესების გაშუქებისას როგორც სასამართლო პერსონალს მოეთხოვება სამართლებრივ სფეროში კომპეტენტურობა და პასუხისმგებლობა, ასევე მოეთხოვება მასობრივი ინფორმაციის საშუალებების წარმომადგენლებსაც, რაც ამავდროულად საკუთარი პროფესიის პატივისცემას ემსახურება მიზნად.[21] მით უმეტეს რომ დღევანდელ რეალობაში მომეტებული ყურადღების ცენტრში ის დანაშაულები გვხვდება, რომლებშიც არასრულწლოვნები ფიგურირებენ[22].

ეს არის კონკურენცია ორ უფლებას შორის: გამოხატვის თავისუფლებასა და არასრულწლოვნის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობას შორის. გამოხატვის თავისუფლება არ წარმოადგენს აბსოლუტურ უფლებას. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო განმარტავს, რომ გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა დასაშვებია თანაზომიერების პრინციპის შესაბამისად, მხოლოდ კანონით მოწესრიგების ფორმალური მოთხოვნის დაცვითა და მკაფიოდ და ამომწურავად განსაზღვრული ლეგიტიმური მიზნების უზრუნველსაყოფად.[23]

მედიის მიერ კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის შესახებ ინფორმაციის გაშუქების სტანდარტს არაერთი საერთაშორისო თუ ევროპული

---

[17] *ხიდეშელი ს.,* ბავშვთა უფლებების დაცვა მედიაში – დემოკრატიული სახელმწიფოს ფორმირების მნიშვნელოვანი ასპექტი, კრებულში: ადამიანის უფლებათა დაცვა და სახელმწიფოს დემოკრატიული ტრანსფორმაცია, *კორკელია კ. (რედ.),* თბ., 2020, 37.

[18] *გოცირიძე ე.,* გამოხატვის თავისუფლება კონფლიქტურ ღირებულებათა სამართლიანი დაბალანსების კონტექსტში, თბ., 2007. 27.

[19] *გოშაძე კ.,* პერსონალურ მონაცემთა დაცვის ძირითადი უფლება, 2020. 102.

[20] *ჯორბენაძე ს., ბახტაძე უ., მაჭარაძე ზ.,* მედიასამართალი, *ჯორბენაძე ს. (რედ.),* თბ., 2014, 59.

[21] *ალვარტი ჰ.,* საჯაროობის პრინციპი გერმანული სისხლის სამართლის პროცესის მიხედვით, კრებულში: ევროპული და საერთაშორისო სამართლის ზეგავლენა ქართულ სისხლის საპროცესო სამართალზე, *თუმანიშვილი გ., ჯიშკარიანი ბ., შრამი ე. (რედ.),* თბ., 2019, 437- 438.

[22] *ხერხეულიძე ი.,* არასრულწლოვანთა დანაშაული და მისი გამომწვევი მიზეზები იუვენალური იუსტიციის სისტემებში, ,,სამართლის ჟურნალი", №2, 2013.

[23] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 17 დეკემბრის №2/6/1311 გადაწყვეტილება საქმეზე „შპს სტერეო+", ლუკა სევერინი, ლაშა ზილფიმიანი, რობერტ ხახალევი და დავით ზილფიმიანი საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს იუსტიციის მინისტრის წინააღმდეგ.

ინსტრუმენტი ადგენს. ,,პეკინის წესები“ დაუშვებლად მიიჩნევს კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნებას მასობრივი ინფორმაციის საშუალებების მიერ. ,,ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულების შესახებ“ გაიდლაინებში კი დეტალურადაა გაწერილია ის შესაძლო საშუალებები, რითაც უზრუნველყოფილი იქნება მედიის მიერ საზოგადოების ინფორმირებისას არასრულწლოვნის პირადი ცხოვრების დაცულობა. ამ თვალსაზრისით აუცილებელ ღონისძიებებს წარმოადგენს, *inter alia*, არასრულწლოვნისთვის ანონიმურობის ან ფსევდონიმის მინიჭება, დაფარვა ან შეცვლილი ხმების გამოყენება, სახელებისა და სხვა ელემენტების წაშლა, რამაც შეიძლება გამოიწვიოს ბავშვის იდენტიფიკაცია ნებისმიერი დოკუმენტიდან, ნებისმიერი ფორმით (ფოტო, აუდიო, ვიდეო) ჩაწერის აკრძალვა და ა. შ. ამასთან, გაიდლაინები ითვალისწინებს აღნიშნული წესიდან გამონაკლისს, როდესაც განსაკუთრებულ შემთხვევებში, პრესაში არასრულწლოვნის მაიდენტიფიცირებელი ინფორმაციის გავრცელება ბავშვის ინტერესთან იყოს თავსებადი და საქმის შესახებ გარკვეული მონაცემების გამჟღავნებითა და გასაჯაროებით, არასრულწლოვნისთვის სასარგებლო შედეგის მომტანი აღმოჩნდეს.

2019 წელს საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული ,,ბავშვის უფლებათა კოდექსი“, რომელიც ქმნის ბავშვის ძირითადი უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სისტემის ფუნქციონირების სამართლებრივ საფუძვლებს, ითვალისწინებს სპეციალურ მუხლს, რომელიც არეგულირებს მედიის მიერ არასრულწლოვნის პერსონალური მონაცემების დაცვის საკითხს. 71-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მედიას ეკრძალება ადმინისტრაციულ წარმოებაში ან სასამართლო პროცესში მონაწილე ბავშვის პერსონალური მონაცემების გასაჯაროება, როგორც პირდაპირი ისე ირიბი იდენტიფიცირება. ხოლო ამავე მუხლის მე-2 ნაწილი კრძალავს, მათ შორის, ბავშვის მიერ ჩადენილი ძალადობის შემთხვევის დამადასტურებელი დოკუმენტის ან ჩანაწერის გასაჯაროებას. კანონმდებელი იქვე აკეთებს დათქმას, რომ ეს დებულებები არ ვრცელდება სისხლის სამართლის დანაშაულისა და ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეთა წარმოებაზე, რაც წესრიგდება არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსით.[24]

მართლმსაჯულების სისტემაში მოხვედრილ ბავშვთა პირადი ცხოვრების უფლების დასაცავად მედიის მიერ დანაშაულის საკითხის გაშუქების კონტექსტში. მიზანშეწონილია, ,,ბავშვის უფლებათა კოდექსის“ 71-ე მუხლის მოქმედება გავრცელდეს სისხლის სამართლის დანაშაულზეც.[25] ალტერნატივის სახით, შესაძლოა, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მე-13 მუხლს დაემატოს მე-3 ნაწილი მსგავსი შინაარსის ფორმულირებით, რომელიც აუკრძალავს მედიის წარმომადგენლებს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესში მონაწილე ბავშვის ისეთი პერსონალური მონაცემების გასაჯაროებას, რომლებითაც შეიძლება მოხდეს მისი როგორც პირდაპირი ისე ირიბი იდენტიფიცირება.[26]

არასრულწლოვანთა საუკეთესო ინტერესების გამო რომ შესაძლებელია შეიზღუდოს გამოხატვის თავისუფლება, ეს ადამიანის უფლებათა ევროპულმა

---

[24] საქართველოს კანონი ,,ბავშვის უფლებათა კოდექსი“, საქართველოს პარლამენტი, 20/09/2019, მე-2 მუხლის პირველი პუნქტი.

[25] *შეყილაძე ხ.,* კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების (სისხლის სამართლის საქმის წარმოების) პროცესში, თბ., 2019, 39.

[26] *ქვრივიშვილი თ.,* კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის პირადი ცხოვრების დაცვის გარანტიები, სადისერტაციო ნაშრომი (თსუ), 2022, 194.

სასამართლომ არაერთ საქმეში დაადასტურა. ერთ-ერთი ასეთი საქმე იყო ჰენდისაიდი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ. ფაქტობრივი გარემოებების თანახმად, ლონდონის ერთ-ერთმა გამომცემლობამ გამოსცა წიგნი სახელწოდებით ,,პატარა წითელი სახელმძღვანელო", რომელიც განკუთვნილი იყო 12-დან 18 წლამდე სასკოლო ბავშვებისთვის. წიგნის შინაარსი დაკავშირებული იყო სქესობრივი ცხოვრების საკითხებთან. ვინაიდან, დიდი ბრიტანეთის სასამართლომ წიგნის გამოცემა აკრძალა, განმცხადებელმა ეს კონვენციის მე-10 მუხლის დარღვევად მიიჩნია. ევროპულმა სასამართლომ შეშფოთება გამოხატა იმ ფაქტთან დაკავშირებით, რომ წიგნი განკუთვნილი იყო მოზარდებისთვის, რომელსაც შესაძლოა ნეგატიური ზემოქმედება მოეხდინა შთაბეჭდილებების ზეგავლენის ქვეშ ადვილად მოქცევად ფსიქიკაზე და კანონსაწინააღმდეგო ქმედებისკენაც კი ებიძგებინა ახალგაზრდებისათვის. სასამართლომ მიიჩნია, რომ სახელმწიფო ორგანოების ქმედება ნაკარნახევი და შეზღუდული იყო ,,მკაცრი საჭიროების/აუცილებლობის'' ჩარჩოთი.[27]

პასუხისმგებლიანი ჟურნალისტიკა ნიშნავს, რომ ჟურნალისტები იქცევიან პროფესიონალურად და მოქმედებენ კეთილსინდისიერად და ავრცელებენ ინფორმაციას ჟურნალისტური ეთიკის შესაბამისად. ჟურნალისტები უზრუნველყოფენ დაბალანსებულ გაშუქებას, რისთვისაც უკავშირდებიან დაინტერესებულ პირებს კომენტარის მისაღებად, მასალის გამოქვეყნებამდე.

სამართლებრივი შეფასებისას მნიშვნელოვანი ელემენტია, პირად ინფორმაციას აქვეყნებს ჟურნალისტი, რომელიც იცავს პასუხისმგებლიანი ჟურნალისტიკის პრინციპებს, თუ ტაბლოიდური გამოცემები, რომლებიც ინფორმაციას აქვეყნებენ მხოლოდ საზოგადოების ცნობისმოყვარეობის დასაკმაყოფილებლად. პასუხისმგებლიანი ჟურნალისტები სარგებლობენ გამოხატვის თავისუფლების დაცვის უფრო მაღალი დონით. თუმცა, ეროვნული ხელისუფლების გადასაწყვეტი არ არის, გაშუქების რა მეთოდებს გამოიყენებს ჟურნალისტი.

როცა საქმე ეხება ბავშვებს, ჟურნალისტებმა უნდა გამოიყენონ მაქსიმალურად მაღალი სტანდარტები. საქართველოში ეს სტანდარტები ნელ-ნელა და ეტაპობრივად დაინერგა. ეს სტანდარტები არ გვქონდა სახეზე, როდესაც წლების წინ შუქდებოდა არასრულწლოვანთა საქმეები. ჟურნალისტებს თავიანთი პროფესიიდან გამომდინარე, შეუძლიათ ადამიანებისგან, განსაკუთრებით კი არასრულწლოვნებისგან, „მტრის ხატი" შექმნან. ეს ძალიან საფრთხილო საქმეა. ეს ეტიკეტირების ძალიან მაღალ საფრთხეს ქმნის. თუკი ვამბობთ, რომ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში ძირითადი იდეა არასრულწლოვნის რესოციალიზაციაა, ეს ერთ-ერთი ხელშემშლელი ფაქტორია. დღეს სხვადასხვა ინტერნეტ-პლატფორმაზე იძებნება ის სიუჟეტები, რომლებიც მართლაც ქმნის „მტრის ხატს" არასრულწლოვნისაგან. ამგვარი სიუჟეტები არ უნდა იყოს ხელმისაწვდომი ფართო საზოგადოებისათვის, რადგანაც ისინი ნამდვილად ლახავს არასრულწლოვნის კანონიერ ინტერესებს.

დღეს ჟურნალისტები ქართულ სინამდვილეში შედარებით მაღალი პროფესიონალიზმით გამოირჩევიან არასრულწლოვანთა საქმეების გაშუქების

[27] Handyside v United Kingdom [1976] ECHR 5 at para. 48, (1976) 1 EHRR 737, [1976] ECHR 5493/72 (7 December 1976), European Court of Human Rights.

პროცესში, მაგრამ უფრო მეტია გასაკეთებელი, რათა ბავშვები შემდგომი სტიგმატიზაციისგან მაქსიმალურად იყვნენ დაცულნი.

5. კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის პერსონალური მონაცემების დაცვა, როგორც მისი პირადი ცხოვრების უფლების გარანტია

XXI საუკუნის ერთ-ერთ მთავარ გამოწვევას პერსონალურ მონაცემთა დაცვა წარმოადგენს[28]. მათი დაცვა დაკავშირებულია ადამიანის ავტონომიურობასთან, იგი ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის ჭრილში განიხილება, კერძოდ, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის შემადგენელ კომპონენტად.

საქართველოს კონსტიტუცია არ იცნობს ტერმინს ,,პერსონალური მონაცემი", თუმცა საკონსტიტუციო სასამართლოს დადგენილი პრაქტიკის თანახმად, იგი კერძო ცხოვრების ხელშეუხებლობის კონსტიტუციური უფლების ერთ-ერთი შემადგენელი ელემენტია და დაცულია საქართველოს კონსტიტუციის მე-15 მუხლით. ხოლო ფიზიკური პირის პერსონალური მონაცემის გამჟღავნებისგან დაცვის ინტერესზე სასამართლო მსჯელობს კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-3 პუნქტით გარანტირებული ინფორმაციული თვითგამორკვევის უფლების ფარგლებში.[29]

ბავშვის უფლებათა სამართალში, პერსონალურ მონაცემთა დაცვის უფლება წარმოადგენს ბავშვის უფლებათა კონვენციის მე-16 მუხლით დაცულ ბავშვის პირადი ცხოვრების უფლების შემადგენელ უფლებრივ ნაწილს, რომლის პატივისცემის ვალდებულება ყველა პირს აკისრია, დაწყებული პროცესის მწარმოებელი ორგანოდან დამთავრებული მისი კანონიერი წარმომადგენლით. კონვენცია საქმისწარმოების ყველა ეტაპზე ავალდებულებს შესაბამის ორგანოს უზრუნველყოს კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის პირადი ცხოვრების დაცვა. შესაბამისად, უზრუნველყოფილი უნდა იყოს მისი პერსონალური მონაცემების სათანადოდ დაცვა გამჟღავნებისაგან.

ტექნოლოგიური პროგრესის პირობებში არასრულწლოვანთა პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების დაცვა კიდევ უფრო მეტი გამოწვევაა, ვინაიდან ახალ შესაძლებლობებთან ერთად იზრდება ამ უფლებაში უკანონო ჩარევის საფრთხეები. ამიტომ ბავშვთა მონაცემების დამუშავების პროცესში განსაკუთრებული როლი აკისრიათ იმ საჯარო და კერძო დაწესებულებებს, რომლებიც ბავშვების მონაცემებს აგროვებენ, იყენებენ, ინახავენ, ასაჯაროვებენ. ისინი ვალდებულნი არიან, იხელმძღვანელონ ბავშვის საუკეთესო ინტერესებით ამასთან, მონაცემების დამმუშავებელმა ორგანომ უნდა უზრუნველყოს პერსონალური მონაცემების დაცვა მესამე მხარის ან საზოგადოებისაგან, რათა არასრულწლოვნის პირადი ცხოვრების უფლება არ შეილახოს. განსაკუთრებულ რისკებს შეიცავს პერსონალური მონაცემების გამჟღავნება ინტერნეტ სივრცეში, რამაც არასრულწლოვნის კიბერბულინგის საფრთხე შეიძლება შექმნას.[30]

---

[28] *გოშაძე კ.*, პერსონალურ მონაცემთა დაცვის ძირითადი უფლება, 2020, 6.

[29] *კოპალეიშვილი მ.*, კონსტიტუციით დადგენილი ბალანსი სასამართლო აქტებზე საჯარო ხელმისაწვდომობის უფლებასა და პერსონალური მონაცემების ხელმისაწვდომობისგან დაცვის უფლებას შორის, კვლევა და რეკომენდაციები საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების შესაბამისად საკანონმდებლო მოწესრიგების საჭიროებაზე, 2020, 17.

[30] *ფაჩულია თ.*, არასრულწლოვანთა პერსონალური მონაცემების ინტერნეტში გაზიარების საფრთხეები, კრებულში: პერსონალურ მონაცემთა დაცვის აქტუალური პრობლემები და გამოწვევები, *თოლორაია ლ., ფირცხალაშვილი ა. (რედ.),* 2021, 45.

არასრულწლოვნის პერსონალური მონაცემების დაცვის გარანტიები უზრუნველყოფილია კომპლექსური მექანიზმის არსებობით, როგორებიცაა საერთაშორისო ნორმატიული ბაზა უშუალოდ პერსონალურ მონაცემთა დაცვის სფეროში, აგრეთვე ბავშვის უფლებათა სფეროში მოქმედი საერთაშორისო და ეროვნული აქტები, საქართველოს კანონი ,,პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" და დარგობრივ კანონთა კომპლექსი. ამასთან, ევროპული საკონსულტაციო და საზედამხედველო ორგანოები და მათ შორის, მონაცემთა დაცვის ეროვნული ორგანო - პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახური, უზრუნველყოფს პერსონალურ მონაცემთა დამუშავების კანონიერების კონტროლს.

კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის პერსონალური მონაცემების დაცვა წარმოადგენს პირადი ცხოვრების უფლებრივ ნაწილს. როგორც ეროვნული ისე საერთაშორისო ინსტრუმენტების თანახმად, როდესაც მუშავდება კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის მონაცემები, იგი პერსონალურ მონაცემთა დაცვის უფლებით მოსარგებლე სუბიექტად გვევლინება. ვინაიდან, არასრულწლოვნის მოწყვლადობის გამო, მისი პერსონალური მონაცემების გამჟღავნებას განსაკუთრებით ნეგატიური გავლენა შეიძლება ჰქონდეს მის მომავალ ცხოვრებაზე, ამ თვალსაზრისით მონაცემების დაცვის უფრო მაღალი ინტერესი არსებობს, სრულწლოვანთა მონაცემებთან შედარებით.

,,პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" კანონის თანახმად, არასრულწლოვნის ნასამართლობა წარმოადგენს განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემს, რომელიც გამიჯნულია ჩვეულებრივი პერსონალური მონაცემის დაცვის რეჟიმისგან და ვინაიდან იგი განსაკუთრებით მგრძნობიარე მონაცემთა კატეგორიას განეკუთვნება, დაცვის უფრო მაღალი გარანტიებით სარგებლობს. შესაბამისად, ამ მონაცემის კონფიდენციალურობის დაცვას საქმისწარმოების ყველა ეტაპზე უნდა მიექცეს ყურადღება, რათა არასრულწლოვნის ინტერესებს ზიანი არ მიადგეს[31]. როგორც წესი, განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემთა დამუშავება აკრძალულია, თუმცა კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში შეიძლება დამუშავდეს კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის ამ კატეგორიის მონაცემებიც. კერძოდ, სისხლის სამართლის პროცესში მისი პირადი საქმეებისა და რეესტრების წარმოებისას, მსჯავრდებული არასრულწლოვნის მიმართ მის მიერ სასჯელის მოხდის ინდივიდუალური დაგეგმვის ან/და სასჯელის მოხდისგან პირობით ვადამდე გათავისუფლებასთან და მისთვის სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სახის სასჯელით შეცვლასთან დაკავშირებული საკითხების განხილვისას; აგრეთვე იმ შემთხვევაში, თუ მონაცემები მუშავდება „დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების წესისა და პრობაციის შესახებ" საქართველოს კანონის მე-2 მუხლით გათვალისწინებული სამართლებრივი აქტების აღსრულების მიზნით; არასრულწლოვან მსჯავრდებულთა და ყოფილ პატიმართა რესოციალიზაციისა და რეაბილიტაციის, დანაშაულის პრევენციის ღონისძიებების განხორციელებისა და არასრულწლოვანთა რეფერირების პროცესის კოორდინაციის მზნით.

,,ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულების შესახებ" გაიდლაინები, განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს არასრულწლოვნის პერსონალური მონაცემების დაცვის საკითხზე და წევრ სახელმწიფოებს მოუწოდებს, რომ

[31] *კოპალეიშვილი მ.,* კონსტიტუციით დადგენილი ბალანსი სასამართლო აქტებზე საჯარო ხელმისაწვდომობის უფლებასა და პერსონალური მონაცემების ხელმისაწვდომობისგან დაცვის უფლებას შორის, კვლევა და რეკომენდაციები საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების შესაბამისად საკანონმდებლო მოწესრიგების საჭიროებაზე, 2020, 17.

არასრულწლოვნის მაიდენტიფიცირებელი არანაირი ინფორმაცია არ გახდეს საჯარო და არ გამოქვეყნდეს. არასრულწლოვნის ჩანაწერებზე წვდომა უნდა იყოს მკაცრად შეზღუდული, ხოლო ასეთი ინფორმაციის მიწოდების აუცილებლობის შემთხვევაში, სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ მონაცემთა დაცვის შესახებ შესაბამისი კანონმდებლობის მიღება. პრაქტიკაში არასრულწლოვნების საქმეების გამოთხოვა შეუძლებელია, თუმცა სამეცნიერო მიზნებისთვის უნდა იყოს აღნიშნული გადაწყვეტილებები ხელმისაწვდომი. რასაკვირველია, ამ შემთხვევაში დაინტერესებულ პირს გადაწყვეტილებები უნდა მიეწოდოს სრულად დეპერსონალიზებული სახით. სამეცნიერო-კვლევითი მიზნებისთვის აღნიშნული ქმედება სავსებით გამართლებული იქნება.

საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მიღებულმა გადაწყვეტილებამ შესაბამის საკანონმდებლო მოწესრიგებამდე, განაპირობა საერთო სასამართლოების მიერ არასრულწლოვნის მიმართ გამოტანილი განაჩენების ხელმისაწვდომობის საკითხზე არაერთგვაროვანი პრაქტიკის დანერგვა.[32] ნაწილი სასამართლოებისა განაჩენებს გასცემს დეპერსონალიზებული სახით, ნაწილი მოითხოვს მონაცემთა სუბიექტის თანხმობას, ხოლო ნაწილი საერთოდ უარს ამბობს მის გაცემაზე. საჯარო ინფორმაციის სახით არასრულწლოვნის მიმართ გამოტანილი განაჩენების გამოთხოვის შესახებ განცხადებაზე თბილისის საქალაქო სასამართლომ უარი განაცხადა იმ არგუმენტაციით, რომ ,,ვინაიდან არასრულწლოვან პირთა ინტერესების დაცვის მიზნით, მათ მიმართ წარმოებული სისხლის სამართლის საქმეები განიხილება დახურულ სასამართლო სხდომაზე, ... არ ხორციელდება აღნიშნულ საქმეებზე გამოტანილი სასამართლო გადაწყვეტილებების დამუშავება და შესაბამისად, არ ხდება მათი საჯარო მონაცემთა ბაზაში განთავსება.[33]

ბავშვის უფლებათა დაცვის სფეროში მოქმედი საერთაშორისო და რეგიონული აქტები არასრულწლოვნის პერსონალური მონაცემების დაცვასთან მიმართებით განსაკუთრებულ ყურადღებას რამდენიმე ასპექტზე ამახვილებენ, რომელთა შორისაა, მონაცემთა შენახვის ვადა და გარკვეული დროის გასვლის შემდეგ მისი განადგურების აუცილებლობა. რაც შეეხება ეროვნულ კანონმდებლობას, ,,პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" კანონი შეიცავს ზოგად ჩანაწერს, რომლის თანახმად, მონაცემთა დამუშავებისას გასათვალისწინებელ ერთ-ერთ მთავარ პრინციპს წარმოადგენს მონაცემთა შენახვის ვადა. კერძოდ, „მონაცემები შეიძლება შენახულ იქნეს მხოლოდ იმ ვადით, რომელიც აუცილებელია მონაცემთა დამუშავების შესაბამისი ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად. იმ მიზნის მიღწევის შემდეგ, რომლისთვისაც მუშავდება მონაცემები, ისინი უნდა წაიშალოს, განადგურდეს ან შენახული უნდა იქნეს დეპერსონალიზებული ფორმით, გარდა იმ შემთხვევისა, თუ მონაცემთა დამუშავება განსაზღვრულია კანონით ან/და კანონის შესაბამისად გამოცემული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით და მონაცემთა შენახვა აუცილებელი და პროპორციული ზომაა დემოკრატიულ საზოგადოებაში აღმატებული ინტერესების დასაცავად"[34].

---

[32] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 7 ივნისის №1/4/693,857 გადაწყვეტილება საქმეზე ,,ა(ა)იპ მედიის განვითარების ფონდი" და ა(ა)იპ ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი" საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.

[33] *ქვრივიშვილი თ.,* კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის პირადი ცხოვრების დაცვის გარანტიები, თბ., 2022, 159.

[34] საქართველოს კანონი „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ", მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ე" ქვეპუნქტი.

არასრულწლოვნის თითის ანაბეჭდებისა და დნმ-ის მონაცემების განუსაზღვრელი ვადით შენახვასთან დაკავშირებით ევროპული კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევა დაადგინა ევროპულმა სასამართლომ საქმეში ს. და მარპერი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ.[35] აღნიშნულ საქმეში ერთ-ერთი განმცხადებელი იყო 11 წლის არასრუწლოვანი, რომელიც სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენაში იქნა ბრალდებული. მიუხედავად იმისა, რომ იგი გამართლდა, მისგან აღებულ თითის ანაბეჭდსა და დნმ-ის ნიმუშს, ინგლისსა და უელსში არსებული საკანონმდებლო რეგულაციის შესაბამისად, პოლიცია ინახავდა განუსაზღვრელი ვადით. აღნიშნულ საქმეში ევროპულმა სასამართლომ განმარტა, რომ ევროპის საბჭოს ინსტრუმენტები პერსონალურ მონაცემთა დაცვის სფეროში მოითხოვს მონაცემთა შენახვას მისი მოპოვების მიზნის პროპორციულად და ამასთან, შეზღუდული დროით, რაც განსაკუთრებით პოლიციის სექტორს მიემართება. ვინაიდან, ინგლისისა და უელსის კანონმდებლობა განუსაზღვრელი ვადით იძლეოდა აღნიშნული მონაცემების შენახვის შესაძლებლობას, სასამართლომ ეს წესი განმცხადებლის პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლებაში არაპროპორციულ ჩარევად მიიჩნია. ამასთან, სასამართლომ განსაკუთრებული შეშფოთება გამოხატა იმ შესაძლო მავნე შედეგების გამო, რაც შეიძლებოდა მომხდარიყო არასრულწლოვნის შემთხვევაში. ეს უკავშირდებოდა მისი განვითარებისა და საზოგადოებაში ინტეგრაციის მნიშვნელობას. ამასთან, სასამართლომ ხაზი გაუსვა გაეროს 1989 წლის ბავშვის უფლებების კონვენციის მე-40 მუხლის დებულებებს, სისხლის სამართლის სფეროში არასრულწლოვნის პირადი ცხოვრების უფლების დაცვის მნიშვნელობას. ანალოგიურად, სასამართლომ მიიჩნია, რომ განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს არასრულწლოვანთა დაცვას ნებისმიერი ზიანისგან, რაც შეიძლება გამოიწვიოს ხელისუფლების მიერ მათი პირადი მონაცემების შენახვამ სისხლის სამართლის დანაშაულში გამართლების შემდეგ.[36]

უმნიშვნელოვანესია, რომ მესამე პირებს, რომელთაც მოსამართლე არასრულწლოვნის სასამართლო სხდომაზე დასწრების ნებართვას მისცემს, ჰქონდეთ ვალდებულება არ გაამჟღავნონ არასრულწლოვნის შესახებ ინფორმაცია. ამ მხრივ, აუცილებელია სათანადო მყარი სამართლებრივი გარანტია არსებობდეს არასრულწლოვნის პირადი ცხოვრების უფლების დაცვის მიზნით. აღნიშნული საკითხის მომწესრიგებელი არაერთი ნორმა არსებობს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში. სსსკ-ის 104-ე მუხლი მართლმსაჯულებისა და მხარეთა ინტერესებიდან გამომდინარე, სასამართლოს ანიჭებს უფლებას მხარის შუამდგომლობით ან საკუთარი ინიციატივით მიიღოს გადაწყვეტილება საქმის მონაწილეთა ან/და სასამართლო სხდომის დარბაზში მყოფ პირთა მიმართ განსახილველი საქმის გარკვეული მონაცემების საჯაროდ გავრცელებისაგან დაცვის შესახებ. ხოლო სსსკ-ის 182-ე მუხლის მე-7 ნაწილი ასევე ითვალისწინებს სასამართლოს შესაძლებლობას დაავალდებულოს დახურულ სხდომაზე დამსწრე პირი, არ გაახმაუროს ის ინფორმაცია, რომელიც მისთვის ამ სხდომაზე გახდა ცნობილი. ამრიგად, ორივე მუხლი ითვალისწინებს მოსამართლის უფლებას და არა ვალდებულებას გააფრთხილოს დამსწრე პირები კონფიდენციალურობის დაცვის შესახებ. ვფიქრობთ, მიზანშეწონილია თუ ამკ-ის 29-ე მუხლს დაემატება ნორმა,

[35] *S. and Marper v. The United Kingdom,* [2008] ECHR, nos. 30562/04 and 30566/04, §124.
[36] იქვე.

რომელიც გაითვალისწინებს მოსამართლის ვალდებულებას, გააფრთხილოს კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის სასამართლო სხდომაზე დამსწრე პირები, არ გაამჟღავნონ არასრულწლოვნის შესახებ ინფორმაცია, რომლის დაუცველობაც, დადგენილი პრაქტიკის მიხედვით სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობას გამოიწვევს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 381-ე მუხლის მიხედვით.

მეტად მნიშვნელოვანია იმ სახელმძღვანელო პრინციპების დაცვა, რომელიც პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამართლითაა განმტკიცებული. ეს პრინციპები განამტკიცებს იმ ზოგადსახელმძღვანელო იდეას, რომლითაც სამართლის ეს დარგი ხელმძღვანელობს და ამ პრინციპების დარღვევას სამართალდარღვევებამდე მივყავართ.

6. დასკვნა

კვლევამ წარმოაჩინა, რომ მეტად პრობლემურია არასრულწლოვნის დაცვა ეტიკეტირებისაგან და მედიის მხრიდან ხშირად ირღვევა მათი უფლებები. რეკომენდირებულია, საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ უზრუნველყოს არასრულწლოვანთა სასამართლო სხდომის დარბაზების სათანადო პირობების შესაბამისად ინფრასტრუქტურული მოწესრიგება. სასურველია გამოიყოს სპეციალური სივრცე იმ პირთათვის, რომელთაც მიეცემათ სხდომაზე წვდომა. აქვე დამატებით აღსანიშნავია, საერთო სასამართლოებში სხდომის დარბაზებში არსებული შემინული კარის პრობლემური საკითხი, რაც დამატებით საფრთხეს ქმნის კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის იდენტიფიცირების თვალსაზრისით.

ასევე ყურადსაღებია ის ინფორმაციაც, რომ მიმდინარეობს აქტიური მუშაობა იმის თაობაზე, რომ არასრულწლოვნებთან დაკავშირებულ საქმეებს სპეციალიზირებული ჟურნალისტები გააშუქებენ.

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ ახალი კანონით არასრულწლოვნის პირადი ცხოვრების დაცულობა გარანტირებულია უფრო მაღალი სტანდარტით, ვინაიდან კანონი ითვალისწინებს მონაცემთა დამმუშავებელი ორგანოს ვალდებულებას არასრულწლოვნის ინტერესების შესაბამისად განახორციელოს მონაცემთა დამუშავება. მსგავსი რეგულირების პირობებში ნათლად არის ჩამოყალიბებული კანონმდებლის ნება, შექმნას კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის პირადი ცხოვრების უფლების დაცვის სათანადო სამართლებრივი გარანტიები.

წინამდებარე ნაშრომი მიზნად ისახავდა არასრულწლოვნის პირადი ცხოვრების უფლების დაცვის გარანტიების კვლევას არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში. ნაშრომში შეფასდა ქართული კანონმდებლობის შესაბამისობა საერთაშორისო და ევროპულ სტანდარტებთან, გაანალიზდა კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის პირადი ცხოვრების უფლების დაცვის გარანტიების პრობლემატური საკითხები, რომელიც საბოლოოდ შეიძლება შეჯამდეს და ჩამოყალიბდეს შემდეგი ძირითადი დასკვნითი წინადადებებისა და რეკომენდაციების სახით: ბავშვის უფლებათა სამართალში მოქმედ ყველა საერთაშორისო თუ რეგიონულ ინსტრუმენტში აისახა არასრულწლოვნის პირადი ცხოვრების უფლება, რომლის დაცვაც უზრუნველყოფილი უნდა იყოს მართლმსაჯულების პროცესის ნებისმიერ სტადიაზე. ბავშვის უფლებათა კონვენცია, აღნიშნულ უფლებას სამართლიანი სასამართლოს გარანტიის ერთ-ერთ

ფუნდამენტურ უფლებრივ კომპონენტად განიხილავს, რომელიც მაღალი სტანდარტით უნდა იქნეს დაცული წევრი სახელმწიფოების მიერ, რათა გამოირიცხოს კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის ვინაობის გამჟღავნებით მისი სტიგმატიზაცია; არასრულწლოვანი, როგორც უფლებების მფლობელი სუბიექტი სარგებლობს სრულწლოვანთათვის მინიჭებული ყველა უფლებით, თუმცა ბიო-ფსიქოლოგიური მახასიათებლების, ასაკის, მოწიფულობისა და სხვა გარემოებათა გათვალისწინების შესაბამისად, გარკვეული თავისებურებებით ხასიათდებიან ეს უფლებები არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში.

წინამდებარე ნაშრომში შევეცადეთ მეტ-ნაკლები სისავსით გადმოგვეტანა ის გარემოებები, რომლებიც აისახა ქართულ კანონმდებლობაში. უნდა აღინიშნოს ის, რომ „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი მომეტებულად იცავს უკვე არასრულწლოვანთა პერსონალურ მონაცემებს და ცდილობს, რომ ამ მოწყვლადი ჯგუფის კანონიერი ინტერესები არ იყოს დარღვეული. ასევე საკანონმდებლო მიღწევად უნდა ჩაითვალოს ის ჩანაწერიც, რომ პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ ახალ კანონში არასრულწლოვნის წინააღმდეგ განხორციელებული სამართალდარღვევა დამამძიმებელ გარემოებად ჩაიწერა და ეს მისასალმებელია.

ბიბლიოგრაფია:

1. საქართველოს კონსტიტუცია, 1995.
2. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი, 2015.
3. ბავშვთა უფლებათა კოდექსი, 2019.
4. საქართველოს კანონი „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“, 2013.
5. გაეროს მინიმალური სტანდარტული წესები არასრულწლოვანთა მიმართ მართლმსაჯულების განხორციელების შესახებ (ე. წ. „პეკინის წესები“).
6. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესები თავისუფლებააღკვეთილ არასრულწლოვანთა დასაცავად (ჰავანას წესები), 1990.
7. *ალვარტი ჰ.,* საჯაროობის პრინციპი გერმანული სისხლის სამართლის პროცესის მიხედვით, კრებულში: ევროპული და საერთაშორისო სამართლის ზეგავლენა ქართულ სისხლის საპროცესო სამართალზე, *თუმანიშვილი გ., ჯიშკარიანი ბ., შრამი ე. (რედ.),* თბ., 2019.
8. *ახალაშვილი ნ.*, იურიდიული ფსიქოლოგია, თბ., 2009.
9. *გოგნიაშვილი ნ.,* პირადი ცხოვრების დაცვის მნიშვნელობა და მისი სპეციფიკა არასრულწლოვანთან მიმართებაში, ქართულ გერმანული სამართლის ჟურნალი, 2023.
10. *გოშაძე კ.,* პერსონალურ მონაცემთა დაცვის ძირითადი უფლება, 2020.
11. *გოცირიძე ე.,* გამოხატვის თავისუფლება კონფლიქტურ ღირებულებათა სამართლიანი დაბალანსების კონტექსტში, თბ., 2007.
12. *დანელია ნ.,* ბავშვთა საკითხების გაშუქება ქართულ სატელევიზიო სივრცეში, მედიის განვითარების ფონდი, თბ., 2011.
13. *ერემაძე ქ.,* ძირითადი უფლებები თავისუფლებისთვის, წიგნი მეორე, 2021.
14. *ივანიძე მ.,* არასრულწლოვანი და მისი საუკეთესო ინტერესები, არასრულწლოვანთა კანონმდებლობის ანალიზი და სასამართლო პრაქტიკა, თბ., 2017.

15. *იმერლიშვილი ი.,* არასრულწლოვნის უფლებები: საერთაშორისო გამოცდილება და საქართველოში არსებული მდგომარეობა, კრებულში: ადამიანის უფლებათა დაცვა, კონსტიტუციური რეფორმა და სამართლის უზენაესობა საქართველოში, თბ., 2017.
16. *კოპალეიშვილი მ.,* კონსტიტუციით დადგენილი ბალანსი სასამართლო აქტებზე საჯარო ხელმისაწვდომობის უფლებასა და პერსონალური მონაცემების ხელმისაწვდომობისგან დაცვის უფლებას შორის, კვლევა და რეკომენდაციები საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების შესაბამისად საკანონმდებლო მოწესრიგების საჭიროებაზე, 2020.
17. *ფაჩულია თ.,* არასრულწლოვანთა პერსონალური მონაცემების ინტერნეტში გაზიარების საფრთხეები, კრებულში: პერსონალურ მონაცემთა დაცვის აქტუალური პრობლემები და გამოწვევები, *თოლორაია ლ., ფირცხალაშვილი ა. (რედ.),* 2021.
18. *ქვრივიშვილი თ.,* კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის პირადი ცხოვრების დაცვის გარანტიები, თბ., 2022.
19. *შალიკაშვილი მ., მიქანაძე გ.,* არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება (სახელმძღვანელო), მეორე გამოცემა, თბილისი, ფრაიბურგი, სტრასბურგი, 2016.
20. *შეყილაძე ხ.,* კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების (სისხლის სამართლის საქმის წარმოების) პროცესში, თბ., 2019.
21. *ხერხეულიძე ი.,* არასრულწლოვანთა დანაშაული და მისი გამომწვევი მიზეზები იუვენალური იუსტიციის სისტემებში, ,,სამართლის ჟურნალი“, №2, 2013.
22. *ხიდეშელი ს.,* ბავშვთა უფლებების დაცვა მედიაში – დემოკრატიული სახელმწიფოს ფორმირების მნიშვნელოვანი ასპექტი, კრებულში: ადამიანის უფლებათა დაცვა და სახელმწიფოს დემოკრატიული ტრანსფორმაცია, *კორკელია კ. (რედ.),* თბ., 2020.
23. *ჯორბენაძე ს., ბახტაძე უ., მაჭარაძე ზ.,* მედიასამართალი, *ჯორბენაძე ს. (რედ.),* თბ., 2014.
24. *ჰამილტონი ქ.* არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საკანონმდებლო რეფორმის სახელმძღვანელო მითითებები, 2011.
25. *Rosenthal, L. Jacobson,* Pygmalion im Unterricht. Lehrererwartungen und Intelligenzentwicklung der Schüler. Beltz, 1983.
26. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 17 დეკემბრის №2/6/1311 გადაწყვეტილება საქმეზე „შპს სტერეო+“, ლუკა სევერინი, ლაშა ზილფიმიანი, რობერტ ხახალევი და დავით ზილფიმიანი საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს იუსტიციის მინისტრის წინააღმდეგ.
27. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 7 ივნისის №1/4/693,857 გადაწყვეტილება საქმეზე ,,ა(ა)იპ მედიის განვითარების ფონდი“ და ა(ა)იპ ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.
28. Handyside v United Kingdom [1976] ECHR 5 at para. 48, (1976) 1 EHRR 737, [1976] ECHR 5493/72 (7 December 1976), European Court of Human Rights.
29. S. and Marper v. The United Kingdom, [2008] ECHR, nos. 30562/04 and 30566/04.